ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 4 დეკემბრის მორიგი სხდომის

**დღის წესრიგი**

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

თანამომსხ: ვარლამ ჭიპაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.(ა)ი.პირის„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ეკა შავიძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

5.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ "ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

6. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

7.„**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 4 დეკემბრის მორიგი სხდომის

ოქმი N18
2023 წლის 4 დეკემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს** თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე
**სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 31 წევრი.
**სხდომას ესწრებოდნენ:**
**მერიის წარმომადგენლები:**
**ვარლამ ჭიპაშვილი** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
**ნინო მაღლაკელიძე** მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.
**კახაბერ გოლუბიანი** მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.
**ვალერი გოგნაძე** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.(ა)ი.პირის „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“თანამშრომელი.
**საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:**
**ლენა კალანდაძე** საკრებულოს აპარატის უფროსი,
**ნინო თხელიძე** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,
**ივანე ჭიპაშვილი** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,
**ზაალ ორბელაძე** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,
**საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:**
**ა. ნიქაბაძე** ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,
**თ. გოგოლაძე** გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,
**სულიკო გლუნჩაძე** ოპერატორი.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

**დღის წესრიგი**

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

თანამომსხ: ვარლამ ჭიპაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.(ა)ი.პირის„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ეკა შავიძე

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

4.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

5.,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ "ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

7.„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 31 წევრი.

მომხრე 31

წინააღმდეგი

**დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)**

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვ. ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. (თან ერთვის).

**საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა**

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი საკითხის ცნობად მიღების თაობაზე.

**საკრებულომ** განკარგულება მიიღო ცნობად კენჭის ყრის გარეშე (თან ერთვის).

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა.(ა)ი.პირის„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომლის ვალერი გოგნაძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ა.(ა) ი. პ -ის გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

**აზრი გამოთქვეს:**

**თ. ავალიშვილმა** ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ფრაქციის მიერ გაზეთს ჰქონდა შეთავაზება წამოსულიყო ჩვენთან ერთად და მოსახლეობის პრობლემები ენახა და გაეშუქებინა, რაც ვერ გააკეთა, ეს ინიციატივა ახლაც გვაქვს ტრანსპორტით უზრუნველყოფას ჩვენ მოვახდენთ, წამოვიდნენ და გააშუქონ პრობლემები.

**ვ. გოგნაძემ** მომხსენებელმა უპასუხა, რომ შეუთანხმდება ხელმძღვანელს.

**კ. გოგსაძემ** ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა აღნიშნა თავის დროზე ჩვენი ხელისუფლების შეცდომა იყო გაზეთი, რომ დავარქვით, გადააკეთეთ ბუკლეტად და მოიხსნება პრობლემა. ფრაქციის თავმჯდომარე 3 დღეა ურეკავს ა (ა)იპის ხელმძღვანელს და არ პასუხობს.

**ო. გაგოშიძემ** ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ა (ა)იპ -ის წარმომადგენელს შეთავაზა იდეა ერთი ზონა აეღო შერჩევით, შეესწავლათ პრობლემები და გაეშუქებინათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 31 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი 3

თავი შეიკავა 3

**საკრებულომ გადაწყვიტა:** განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**სხდომის თავმჯდომარემ, დღის წესრიგის მესამე საკითხის** -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის მიზნით, დროებით დატოვა სხდომის თავმჯდომარეობა და სხდომას წარუძღვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დაკით კიკნაძე, რომელმაც სიტყვა მოხსენებისათვის გადასცა საკრებულოს თავმჯდომარეს მანანა ბარბაქაძეს.

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ **(თან ერთვის)**

**აზრი გამოთქვეს:**

**კ. გოგსაძემ** ფრაქცია“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, რომელმაც მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის, მაგრამ შეახსენა, რომ უფრო კატეგორიულები უნდა ვიყოთ პრობლემების აღმოფხვრის საკითხებში, მაგალითად წყალაფორეთის სკოლის პრობლემები, ეკონომიკის სამსახურის მიერ ქონების აღრიცხვა და სხვა.

**თ. ავალიშვილმა** ფრაქცია“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რაც გაკეთდა კარგია, რაც არ გაკეთდა ცუდი. მაგალითად ა.(ა)ი .პ -ების ხელმძღვანელები არ იყვნენ მოწვეული ბიუჯეტის განხილვაზე, მაგალითად ანგარიშში შეტანილი არ იყო პრობლემები, რომელიც არსებობს მუნიციპალიტეტში

**მ. ბარბაქაძემ** მომხსენებელმა უპასუხა, რომ საკრებულოს წინაშე დასმულ სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით იცით, რომ საკრებულო კომისიების მეშვეობით ახდენდა პრობლემის შესწავლას, მეც პირადად ადგილზე მისვლით ვამოწმებდი საკითხს და ერთობლივად საკრებულო იღებდა გადაწყვეტილებას.

**ვ. ჭიპაშვილმა** მერის პირველმა მოადგილემ დადებითად შეაფასა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაწეული საქმიანობა და მადლობა გადაუხადა მერიასთან აქტიური თანამშრომლობისათვის.

**დ. კიკნაძემ** საკრებულოს ტავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დააყენა წინადადება საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი,

მომხრე 25

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

**საკრებულომ გადაწყვიტა :** განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე მ. ბარბაქაძე შეუდგა სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას.

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის დავით კიკნაძის ანგარიში საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ **(თან ერთვის)**

**საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა**

სხდომის თავმჯდომარემ მ. ბარბაქაძემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი

მომხრე 25

წინააღმდეგი 0

მონაწილეობა არ მიიღო 2

**საკრებულომ გადაწყვიტა:** განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ "ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 31 წევრი
მომხრე 28
წინააღმდეგი 3
**საკრებულომ გადაწყვიტა :** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (თან ერთვის)
**საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა**
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 31 წევრი
მომხრე 28
წინააღმდეგი 3
**საკრებულომ გადაწყვიტა :** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა**
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი
კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 31 წევრი
მომხრე 28
წინააღმდეგი 3

**საკრებულომ გადაწყვიტა :** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **მანანა ბარბაქაძე**